

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

დასახლებული პუნქტების, ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებებთან დაკავშირებით

საქართველოს ტერიტორიაზე კვლავ შემორჩენილია საბჭოთა ბოლშევიკურ რეჟიმთან დაკავშირებული სახელწოდებები დასახლებული პუნქტების, ქუჩებისა და მოედნებისა (მაგ. წითელარმიელის ქუჩა, ქედის კომუნის ქუჩა და სხვა მისთანანი).

ცალკეული ქუჩების სახელწოდებები დღემდე უკვდავყოფს ბოლშევიკური, სისხლიანი რეჟიმის აქტივისტებს (მაგ. ენუქიძის ქუჩა, თოდრიას, აფანასიევის, კამოს ქუჩები და სხვა)

XXI საუკუნის საქართველოში ანაქრონიზმია ისეთი სახელწოდებები, როგორცაა მიტინგის ქუჩა, დეპოს, ტრაქტორის, საყვირის, ტრიკოტაჟის ქუჩები და მისთანანი.

ხსოვნის კულტურა ერის სულიერი კულტურის ნაწილია. საჭიროა შეიცვალოს დასახლებული პუნქტების, ქუჩებისა და მოედნების ისეთი სახელწოდებები, რომელნიც სრულ დისკარმონიას ქმნიან ქართული სახელმწიფოს ტრადიციებთან და დღევანდელობასთან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დაევალოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, შესაბამის სამთავრობო კომისიასთან შეთანხმებით, 2008 წლის 1 იანვრამდე შეცვალონ გეოგრაფიული ადგილების, დასახლებული პუნქტების, ქუჩებისა და მოედნების ის სახელწოდებები, რომელნიც ქართველი ერის ნების გარეშე თავსმოხვეული იყო კომუნისტური რეჟიმის მიერ.